სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №243/01–01** საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულსა (კატეგორია ,,ბ'') და მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია ,,ა'') გამოცხადებული კონკურსების ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2020 წლის 24 დეკემბრის №121/2020** დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 3
(შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **5 თებერვალი, 2021 წ. 13:00**

2021 წლის 5 თებერვალს 13 საათზე ჩატარდა საკონკურსო კომისიის სხდომა. სხდომა ჩატარდა თსუ XI კორპუსში, 335 კაბინეტში.

სხდომას კომისიის ხუთი წევრიდან ესწრებოდა ხუთივე: 1. პროფესორი ელიზბარ ნადარაია (კომისიის თავმჯდომარე); 2. ასოცირებული პროფესორი თენგიზ კოპალიანი (თავმჯდომარის მოადგილე); 3. პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია; 4. ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი (კომისიის მდივანი); 5. ასისტენტ პროფესორი გივი ნადიბაიძე.

დღის წესრიგი: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №243/01–01** საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულსა (კატეგორია ,,ბ'') და მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია ,,ა'') გამოცხადებულ კონკურსებში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა და კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.

1. **მოისმინეს:** ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე კანდიდატის - **ბესიკ ლევანის ძე ჩიქვინიძის** შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ელიზბარ ნადარაიამ. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტ ბესიკ ჩიქვინიძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორია: ამ კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, პროფილით მუშაობის სტაჟი, გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული/წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილს

შეესაბამება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ ფორმატსა და მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორია: ამ კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. ბ.ჩიქვინიძე არის ახალგაზრდა მეცნიერი. გამოქვეყნებული აქვს 6 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, ხოლო სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში - 4. ციტირების ინდექსია 16, h-ინდექსი - 2, g-ინდექსი - 3; მოხსენებები ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე – 3, ადგილობრივზე - 3. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

შეფასების IV კატეგორია: კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები - იყო საქართველოს სტატისტიკური ასოცოაციის პრეზიდენტი; მიღებული აქვს საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრემია და ესტატე ხმალაძის სტიპენდია.

კომისიამ ბ.ჩიქვინიძეს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და იგი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად კომისიის თავმჯდომარემ ჩაატარა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთივე წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0.

1. **დაადგინეს:** ა) თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ბ") გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ბესიკ ჩიქვინიძე.**
   ბ) შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. **მოისმინეს:** მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე კანდიდატის - **ალექსანდრე რამინის ძე აპლაკოვის** შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ელიზბარ ნადარაიამ. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტ ალექსანდრე აპლაკოვის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორია: ამ კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, პროფილით მუშაობის სტაჟი, გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა,

მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული/წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილს შეესაბამება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ ფორმატსა და მოთხოვნებს. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს ოთხი სახელმძღვანელო, მათ შორის ორი თსუ გამომცემლობის ეგიდით.

შეფასების III კატეგორია: ამ კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. ა.აპლაკოვს გამოქვეყნებული აქვს ერთი ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში, ხოლო სხვა რეცენზირებად ჟურნალებში - 8. ციტირების ინდექსია 6, h-ინდექსი - 2, g-ინდექსი - 2. მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო წლების მანძილზე – 3. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

შეფასების IV კატეგორია: კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, შრომითი ბიოგრაფიით დასტურდება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ ა.აპლაკოვს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და იგი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად კომისიის თავმჯდომარემ ჩაატარა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთივე წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0.

2. **დაადგინეს:** ა) თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა") გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ალექსანდრე აპლაკოვი.**
ბ) შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი ელიზბარ ნადარაია

კომისიის წევრები:

1. ასოცირებული პროფესორი თენგიზ კოპალიანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
2. პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია
3. ასისტენტ პროფესორი გივი ნადიბაიძე
4. ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი (კომისიის მდივანი)